ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

წევრთა საერთო კრება

ო ქ მ ი #2

23 დეკემბერი, 2017 წელი

კრების ჩატარების ადგილი: თბილისი, სპორტის სასახლე, 26 მაისის მოედანი N1.

კრების დღის წესრიგი:

12:00-15:00 ადვოკატთა ასოციაციის წევრთა რეგისტრაცია.

15:00-15:15 ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების გახსნა.

15:15-15:30 ხმის დამთვლელი კომისიის გამოკლებული წევრების არჩევა.

15:30-16:00 მეორე ტურში გასული ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატების გამოსვლები.

16:00-19:00 ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეობის არჩევნებში, მეორე ტურში გასული კანდიდატებისთვის ხმის მიცემა.

19:00-21:00 ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატების ხმების დათვლა.

21:00 არჩევნების შედეგების გამოცხადება.

21:05 ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების დახურვა.

თბილისი, ძველი ზუბალაშვილების 1, №36 ტელ/ფაქსი: (995 32) 222 46 54 26 Dzveli Zubalashvilebis St., Tbilisi, Georgia, Tel/Fax

რეგისტრაცია დაიწყო 12:00 საათზე; 14:55 საათისათვის რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობამ შეადგინა 971, რის შემდეგაც კრება გაიხსნა. რეგისტრაციის დასრულების დროისთვის, სამანდატო კომისიის თავმჯდომარის მიერ მოწოდებული საბოლოო ინფორმაციით, კრებაზე რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობამ შეადგინა -1022.

კრება გახსნა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ - ზაზა ხატიაშვილმა მისასალმებელი სიტყვით.

კრების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ასოციაციის წესდების 12.2 მუხლის „ლ" ქვეპუნქტის თანახმად, ხმის დამთვლელი კომისიის შემაგენლობა 15 წევრით არის განსაზღვრული; აქედან გამომდინარე, დღის წესრიგის შესაბამისად, კრებას უნდა აერჩია ხმის დამთვლელი კომისიის გამოკლებული 10 წევრი, რომელთაც კომისიის შემადგენლობა დატოვეს პირადი განცხადებების საფუძველზე.

კრების მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობის შესახებ, რომელთაც არ დაუტოვებიათ კომისია: 1. ივანე პეტრიაშვილი (თავმჯდომარე); 2. ირაკლი გუნიავა; 3. აკაკი მარტოლეკი; 4. გიორგი ქათამაძე; 5. თამარ მაჭავარიანი.

თავმჯდომარემ მიმართა კრებაზე დამსწრე ადვოკატებს, დაესახელებინათ ხმის დამთვლელი კომისიის 10 გამოკლებული წევრის სანაცვლო წევრობის კანდიდატები.

ხმის დამთვლელი კომისიის გამოკლებული წევრების არჩევის მიზნით, კრებაზე დამსწრე ადვოკატების მიერ დასახელდნენ ხმის დამთვლელი კომისიის წევრობის შემდეგი კანდიდატები: 1. დავით ჭიკაიძე; 2. დარეჯან ბუცხრიკიძე; 3. მერაბ ცუხიშვილი; 4. ქეთევან ვარდანაშვილი; 5. როლანდ შონია; 6. გიორგი ჟორჟოლიანი; 7. მარიამ საბიაშვილი; 8. მაკა ჯაფარიძე; 9. დავით გირგვლიანი; 10. კახა ჩუბინიძე.

ხმის დამთვლელი კომისიის გამოკლებულ წევრთა არჩევის მიზნით დაიწყო ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგებით (წინააღმდეგი - 0; თავი შეიკავა - 0), კრებამ ერთხმად დაამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის 10 ახალი წევრი: 1. დავით ჭიკაიძე; 2. დარეჯან ბუცხრიკიძე; 3. მერაბ ცუხიშვილი; 4. ქეთევან ვარდანაშვილი; 5. როლანდ შონია; 6. გიორგი ჟორჟოლიანი; 7. მარიამ საბიაშვილი; 8. მაკა ჯაფარიძე; 9. დავით გირგვლიანი; 10. კახა ჩუბინიძე.

შესაბამისად, საერთო კრების ხმის დამთვლელი კომისიის საბოლოო შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

ზ. ზ. ხატიაშვილი

1. ივანე პეტრიავილი (თავმჯდომარე)
2. ირაკლი გუნიავა
3. აკაკი მარტოლეკი
4. გიორგი ქათამაძე
5. თამარ მაჭავარიანი
6. დავით ჭიკაიძე
7. დარეჯან ბუცხრიკიძე
8. მერაბ ცუხიშვილი
9. ქეთევან ვარდანაშვილი
10. როლანდ შონია
11. გიორგი ჟორჟოლიანი
12. მარიამ საბიაშვილი
13. მაკა ჯაფარიძე
14. დავით გირგვლიანი
15. კახა ჩუბინიძე

კრების თავმჯდომარემ დამსწრე ადვოკატებს განუცხადა, რომ 2017 წლის 9 დეკემბერს გამართულ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნებში ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატიდან (დავით ასათიანი - 1129 ხმა, ლევან ჯანაშია - 635 ხმა), არჩევნების მეორე ტურს (რომელიც გაიმართა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლისა და ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 17.2 პუნქტის თანახმად) ესწრებოდა მხოლოდ ერთი კანდიდატი - დავით ასათიანი. თუმცა, რადგან მეორე კანდიდატს ლევან ჯანაშიას ადვოკატთა ასოციაციისთვის არ მიუმართავს კანდიდატურის მოხსნის თუ მეორე ტურში არმონაწილეობის თაობაზე რაიმე განცხადებით, თავმჯდომარის ბიულეტენში მითითებულია ორივე კანდიდატის სახელი და გვარი.

ზაზა ხატიაშვილმა საბოლოო სიტყვით მიმართა კრებაზე დამსწრე ადვოკატებს. მან მადლობა გადაუხადა კოლეგებს რვაწლიანი თანამშრომლობისთვის; ისაუბრა ასოციაციის მიერ მიღწეულ შედეგებზე და ხაზი გაუსვა მისი მოღვაწეობის მუდმივად თანმდევ, ერთ-ერთ უმნიშველოვანეს ასპექტს - ადვოკატთა უფლებების დაცვას და ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციონალურ გაძლიერებას. ბოლოს კი აღნიშნა, რომ დღეს, ადვოკატთა ასოციაცია არის მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძლიერი რგოლი, რომელიც დიდი საერთაშორისო მხარდაჭერითა და ნდობით სარგებლობს, რაც არის წლების განმავლობაში მისი გუნდის მიერ ერთობლივად გაწეული, დაუღალავი შრომის შედეგი და ადვოკატურისათვის - უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი. ზაზა ხატიაშვილმა მხარდაჭერა აღუთქვა ადვოკატებს და უსურვა სამართლიანი არჩევანის გაკეთება.

კრების დღის წესრიგის თანახმად, კრებაზე დამსწრე კანდიდატმა - დავით ასათიანმა სიტყვით მიმართა ადვოკატებს და აღნიშნა, რომ მისი არჩევის შემთხვევაში, ის მზად არის ჩადგეს თითოეული ადვოკატის სამსახურში და მის გუნდთან ერთად წარმატებით გააგრძელოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ არჩეული განვითარების კურსი. მან მადლობა გადაუხადა ზაზა ხატიაშვილს ადვოკატურის ინტერესებისათვის უკომპრომისო ბრძოლისათვის, ერთობლივი ძალისხმევის შედეგად მიღწეული პოზიტიური შედეგებისთვის და მოუწოდა კოლეგებს განვითარების გზის გაგრძელებისაკენ.

კრების თავმჯდომარემ მიმართა ხმის დამთვლელ კომისიას დაეწყოთ მზადება ხმის მიცემის პროცედურისთვის.

კრების დღის წესრიგის თანახმად, 16:00 საათზე დაიწყო ფარული კენჭისყრა/ხმის მიცემის პროცედურა არჩევნებში მონაწილე თავმჯდომარეობის კანდიდატების არჩევის მიზნით.

ხმის მიცემის პროცედურა მიმდინარეობდა ინტენსიური აქტივობით, მშვიდ ვითარებაში. პროცესი გაგრძელდა 19:00 საათამდე, დღის წესრიგის შესაბამისად.

19:00 საათზე, ხმის მიცემის პროცედურა დასრულდა და დაილუქა ყველა ყუთი.

დაახლოებით 19:50 წუთზე ხმის დამთვლელმა კომისიამ დაიწყო თავმჯდომარეობის კანდიდატების ხმების დათვლა სპორტის სასახლის დარბაზის მოედნის ცენტრში, სპეციალურად მოწყობილ ადგილას. ხმის დათვლა მიმდინარეობდა საჯაროდ, დამსწრე ადვოკატების, დამკვირვებელთა და მედიის წარმომადგენელთა თვალწინ.

2017 წლის 23 დეკემბერს, 20:20 წუთისათვის, ხმის დამთვლელმა კომისიამ დაასრულა ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატების ბიულეტენების საჯაროდ დათვლა და კომისიის თავმჯდომარის - ივანე პეტრიაშვილის მიერ გამოცხადდა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნების შედეგები კანდიდატების მიერ მიღებულ ხმათა შემდეგი რაოდენობით:

1.	ასათიანი დავით	922
2.	ჯანაშია ლევან	23

ბათილად იქნა ცნობილი 8 ბიულეტენი.

კრება წარიმართა დღის წესრიგით გათვალისწინებული რეგლამენტის დაცვით.

ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის - ივანე პეტრიაშვილის მიერ ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებამ დაასრულა მუშაობა.

2017 წლის 23 დეკემბერს ხმის დამთვლელმა კომისიამ დაასრულა ასოციაციის თავმჯდომარის წევრობის კანდიდატების ბიულეტენების დათვლა და 09.12.2017 წლის საერთო კრების რეგლამენტის მე-8 მუხლის თანახმად, ხმის დამთვლელი კომისიის მიერ შედგა კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმი, ხმის დამთვლელი კომისიის წევრებისა და კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით და გადაეცა ადვოკატთა ასოციაციას (**იხ. დანართი #1**).

ხმის დამთვლელი კომისიის 2017 წლის 23 დეკემბრის შემაჯამებელი ოქმის შესაბამისად:

ადვოკატთა ერთიან სიაში არსებულ ადვოკატთა რაოდენობაა - 4568

ადვოკატები, რომლებმაც გაიარეს რეგისტრაცია - 1022

კენჭისყრაში მონაწილე ადვოკატთა რაოდენობაა - 954

ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნების შედეგები

გამოყენებული ბიულეტენების რაოდენობა - 953

ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა - 945

ბათილი ბიულეტენების რაოდენობა - 8

კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

1	ასათიანი დავით	922
2	ჯანაშია ლევან	23

არჩევნების მეორე ტურისვკენჭისყრის შედეგების შესაბამისად, ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ არჩეული იქნა - დავით ასათიანი (პ/ნ 60002015846).

წინამდებარე აქტი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს ს.ს.ი.პ. ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge

წინამდებარე აქტი შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

დანართი #1- *2017 წლის 23 დეკემბრის ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნების, მეორე ტურის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.*

ზაზა ხატიაშვილი

ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
თავმჯდომარის არჩევნების მეორე ტურის
კენჭისყრის შედეგების
შემაჯამებელი ოქმი

თბილისი **23 დეკემბერი, 2017 წ.**

1. **არჩევნების საერთო ზოგადი მონაცემები**

ადვოკატთა ერთიან სიაში არსებულ ადვოკატთა რაოდენობა	4568
სამანდატო კომისიის მიერ რეგისტრირებული მონაცემებით, ადვოკატები, რომლებმაც გაიარეს რეგისტრაცია:	1022
კენჭისყრაში მონაწილე ადვოკატთა რაოდენობა, საარჩევნო სიებში დაფიქსირებული ხელმოწერების მიხედვით:	954

2. **სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნების მეორე ტურის შედეგები**

გამოყენებული ბიულეტენების რაოდენობა:	953
ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა:	945
ბათილი ბიულეტენების რაოდენობა:	8

კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

1.	ასათიანი დავით	922
2.	ჯანაშია ლევან	23

არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის შედეგების შესაბამისად, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარედ არჩეული იქნა დავით ასათიანი.

წინამდებარე ოქმი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ოქმი გამოქვეყნდეს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gba.ge).

წინამდებარე ოქმი შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6), გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.

23 დეკემბერი, 2017 წელი

ხმის დამთვლელი კომისიის წევრები:

დავით გირგვლიანი	დარეჯან ბუცხრიკიძე
ვახტანგ ჩუბინიძე	მერაბ ცუხიშვილი
მაკა ჯაფარიძე	მარინე საბიაშვილი
ირაკლი გუნავა	თამარ მაჭავარიანი
აკაკი მარტოლეკი	ქეთევან ვარდანაშვილი
გიორგი ჟორჟოლიანი	ბოლანდ შონია
დავით ჭიკაიძე	გიორგი ქათამაძე

ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე /ივანე პეტრიაშვილი/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N171499645
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	27.12.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ირმა შარვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ჟ. შარტავას 42
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2238372
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	88908033651417

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე /სანოტარო ბიურო მდებარე: თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #42/ ვამოწმებ ზაზა ხატიაშვილის (დაბადების თარიღი 08.06.1967წ. მისამართი: რუსთაველის გამზირი #36, ნომერი 01012015780) ხელმოწერების ნამდვილობას, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტზე ხელმომწერების პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია.
სანოტარო მოქმედება შესრულებულია ქ. თბილისში, ძმები ზუბალაშვილების ქ. #36-ში, სადაც მე მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად.
მე, არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ.ვამოწმებ ხელმოწერას წარმოდგენილი დოკუმენტის ყველა გვერდზე.
გადახდილია საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29.12.2011წ. #507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“) 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა.
დოკუმენტის 7 ეგზემპლარზე შესრულებული 42 ხელმოწერის დამოწმებისთვის 84.00 ლარი; სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 20.00 ლარი,
დღგ 18.72 ლარი; რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი;

ნოტარიუსი _____

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18